



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება



MES 3 20 00260699



28/02/2020

**„ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2019 წლის 30 დეკემბრის №1780957 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. განხორციელდეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №169 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის“ მე-5 მუხლის:

**ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ამ წესით გათვალისწინებული ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ მისი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შემდეგი პრინციპით: 70% - ცენტრში ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო 30% - შესაბამის საბჭოს სხდომაზე დასწრების, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით შესაბამისი საკითხის განხილვაში მონაწილეობის საფუძველზე.“;

**ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> და 1<sup>2</sup> პუნქტები:**

„1<sup>1</sup>. იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის და შესაბამისი ვიზიტის განხორციელების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ვიზიტის განხორციელებამდე პერიოდში, დაწესებულების ინიციატივით შეწყდება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ანაზღაურება გაიცემა 40%-ის ოდენობით, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ცენტრში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, რომლითაც დადასტურდება ვიზიტის განხორციელებისთვის საჭირო წარმოების მასალების შესწავლა;

ბ) დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების დღეს ან ვიზიტის განხორციელებიდან ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული შესაბამისი დასკვნის პროექტის წარმოდგენამდე პერიოდში, დაწესებულების ინიციატივით შეწყდება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ანაზღაურება გაიცემა 50%-ის ოდენობით, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ცენტრში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, რომლითაც დადასტურდება ვიზიტის განხორციელებისთვის საჭირო წარმოების მასალების შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები;

გ) ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაბამისი დასკვნის პროექტის წარმოდგენიდან ამავე ჯგუფის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული შესაბამისი დასკვნის წარმოდგენამდე პერიოდში, დაწესებულების ინიციატივით შეწყდება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ანაზღაურება გაიცემა 70%-ის ოდენობით;

დ) ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული შესაბამისი დასკვნის წარმოდგენიდან საბჭოს სხდომის ჩატარებამდე შეწყდა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, რის გამოც, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტი ვერ უზრუნველყოფს საბჭოს სხდომაზე დასწრებას/შესაბამისი საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებას, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე სრულად გაიცემა ანაზღაურება;

ე) შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება შეწყდება დაწესებულების მხრიდან ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის მათი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის, კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ საავტორიზაციო/საკრედიტაციო განაცხადში და/ან მასზე თანდართულ დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელების გამო, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ანაზღაურება გაიცემა 50%-ის ოდენობით, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ცენტრში წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე, რომლითაც დადასტურდება ვიზიტის განხორციელებისთვის საჭირო წარმოების მასალების გაცნობა და შესწავლა.

1<sup>2</sup>. ამ მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით განსაზღვრულ პერიოდებში ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტის მიერ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებული ავტორიზაციის/აკრედიტაციის

ექსპერტისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტზე ანაზღაურება გაიცემა ამ მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული პერიოდების მიხედვით დადგენილი ანაზღაურების შესაბამისად.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
დირექტორი  
მახარაშვილი თამარ

თ. ბახოაძე